პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 40 (3017)

1966 წ. 26 თებერვალი, შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი



## ოქროსა და ვერცხლის ბრწყინვალება

დ ა ვ ო ს ი, 25 თებერვალი. ადგილობრივი ხელოვნური ღია საციგურაო ტრიბუნები გუშინ დილით კვლავ დიდძალი მაყურებლით აივსო. ციგურებით ფიგურული სრიალის მრავალრიცხოვანი მოყვარული მოვიდა მსოფლიოს საუკეთესო წყვილების ნებისმიერი პროგრამით ასპარეზობის საყურებლად. ლენინგრადელი წყვილის — ლ. ბელოუსოვასა და ო. პროტოპოპოვის გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა. და არა მარტო იმიტომ, რომ ისინი ღირსეულად ატარებენ ოლიმპიური თამაშების, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების ოქროს მედლების ლაურეატთა წოდებას, არამედ იმის გამოც, რომ ლენინგრადელებმა ამჯერადაც, დავოსის მსოფლიო პირველობაში უზადოდ შეასრულეს სავალდებულო პროგრამა და ლიდერობა იგდეს ხელთ.

მაყურებელთა მოლოდინი გაუმართლდა. მან იხილა ამ წყვილის შესანიშნავი, მაღალ ხელოვნებამდე აყვანილი ვარჯიში და არავის გაუკვირდება, რომ ერთ-ერთმა მსაჯმა პროგრამის არტისტიზმში ლენინგრადელებს უმაღლესი შეფასება — 6 ქულა მისცა.

მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ ბრწყინვალე წყვილის ღირსეულ მეტოქეებად ამ დღეს მეორე საბჭოთა დუეტი (ტ. ჟუკი — ა. გორელიკი) მოგვევლინა. ეს იყო საოცარი სანახაობა! ახალგაზრდა საბჭოთა ფიგურისტებმა შესანიშნავი სილაღით და ოსტატობით, დიდი შემოქმედებითი შთაგონებით, უაღრესი ემოციურობითა და სინატიფით შეასრულეს რთული ვარჯიში და ღირსეულად დაიმსახურეს მაყურებელთა მქუხარე ტაში. მათ ასევე დაიმსახურეს ერთ-ერთი მსაჯის „ექვსიანი" და საბოლოოდ გამარჯვებულთა კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე დადგნენ.

ეს საბჭოთა ფიგურისტების ბრწყინვალე გამარჯვებაა!

ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს ამერიკელებმა — და-ძმა ს. და რ. კაუფმანებმა.

დღეს უდიდესი ინტერესი გამოიწვია ფიგურისტ ვაჟთა გამოსვლებმა ნებისმიერი პროგრამით. შეჯიბრების დასკვნითი ნაწილი მიეძღვნა სავალდებულო პროგრამის შემდეგ დაწინაურებულთა ასპარეზობას. ეს იყო საუცხოო სპექტაკლი.

მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი წილად ხვდა ავსტრიელ ე. დანცერს, რომელმაც ბრწყინვალე, დახვეწილი ოსტატობა გამოავლინა. ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა გამარჯვებულის თანამემამულე ვ. შვარცი, ბრინჯაოსი — გ. ვისკონტი (აშშ). მოსკოველმა ვ. მეშკოვმა დაიკავა XVII ადგილი.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მარცხნივ — ლ. ბელოუსოვა და ო. პროტოპოპოვი შეჯიბრებისას. მარჯვენა ფოტოსურათი უკვე, ასე ვთქვათ, ისტორიულ დოკუმენტად შეიძლება მივიჩნიოთ, ვინაიდან მასზე აღბეჭდილია შარშანდელი ამბავი: სახელგანთქმული სპორტსმენების — ფიგურისტი ტ. ჟუკისა და ფეხბურთელი ა. შესტერნიოვის დაქორწინების ცერემონიალი.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა და ჟურნალ „სპორტოვეცისა" (პოლონეთი).



### უკანასკნელი საათი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

◆ მოსკოვი, 25 თებერვალი. ადგილობრივ „დინამოს" სტადიონზე დღეს საღამოს დამთავრდა ყინულზე მოტორბოლაში მსოფლიოს I ჩემპიონატი. ოქროს მედალი, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ გუშინდელი ტურის დამთავრებისას გაინაღდა უფელმა გ. კადიროვმა. დღეს გამოვლინდნენ დანარჩენი პრიზიორები. ვერცხლის მედალს დაეპატრონა მოსკოველი ვ. კუზნეცოვი, ხოლო ბრინჯაოსას — ა. შვაბი (ჩეხოსლოვაკია).

◆ მოსკოვი, 25 თებერვალი. ჩოგბურთელთა X ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის დღევანდელი შეხვედრებიც მწვავედ და საინტერესოდ წარიმართა. ინგლისელმა ე. სტარკიმ მოუგო ახალგაზრდა საბჭოთა ჩოგბურთელ რ. ისლანოვას და ნახევარფინალში გავიდა, სადაც შეხვდება მ. კულს (ქალთა მეორე ნახევარფინალში იასპარეზებენ გ. ბაკშეევა და ტ. კივი). ტ. სიმსონისა და რ. აბჟანდაძის წყვილმა დაამარცხა ე. სტარკისა და ჩეხოსლოვაკიელი მ. ხრებტოვას დუეტი. სიმსონი და აბჟანდაძე გავიდნენ ნახევარფინალში. ვაჟთა ნახევარფინალური შეხვედრები მოიგეს თ. ლეიუსმა და ა. მეტრეველმა. ამრიგად, ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან ძველი მეტოქეები — ჩვენი ქვეყნის პირველი და მეორე „ჩოგნები".

### გუშინ...

ტ ა რ ტ უ ს ა და ლ ე ნ ი ნ გ რ ა დ შ ი გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები. თბილისის დინამოელებმა ანგარიშით 71:54 დაამარცხეს კიევის არმიელთა გუნდი. დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „დინამო" (მოსკოვი) — ვეფ (რიგა) 63:64, ცსკა — „სპარტაკი" (ლენინგრადი) 65:61, ასკ (ლენინგრადი) 73:68, „კალევი" (ტარტუ) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 70:57.

●

**თბილისში** შედგა მოჭადრაკე ვაჟთა საქალაქო ჩემპიონატის V ტურში გადადებული პარტიების დამთავრება. ჩიქოვანმა მოუგო გიორგაძეს. პარტიები გაბრიაძე — შიშოვი და ბუსლაევი — ჩიგუნაევა ყაიმით დამთავრდა. 5 ტურის შემდეგ ლიდერთა მდგომარეობა ასეთია: ჩიქოვანი და დავითაშვილი — 4-4 ქულა, ბოკუჩავა და უბილავა — 3,5-3,5. გუშინვე გაიმართა თბილისის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალი.

## ფეხბურთი

### გამარჯვებით დამთავრებული რეპეტიცია

**24** თ ე ბ ე რ ვ ა ლ ს დიდი ინტერესი გამოიწვია სანტ-იაგოში გამართულმა საერთაშორისო ამხანაგურმა მატჩმა ჩილისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის. დედაქალაქის ცენტრალურ სტადიონზე მას დაესწრო 80 ათასი მაყურებელი. ცნობილია, რომ სსრ კავშირისა და ჩილის გუნდები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის ერთ, IV ჯგუფში არიან, ამიტომ თამაშს თავისებური რეპეტიციის ხასიათი ჰქონდა.

გუნდები ასეთი შემადგენლობებით გამოვიდნენ მინდორზე: ს ს რ კ ა ვ შ ი რ ი — კავაზაშვილი, პონომარიოვი, შესტერნიოვი, აფონინი, ჰუტმანოვი, საბო, ვორონინი, ჩისლენკო, მალაფეევი, ბანიშევსკი, მესხი; ჩ ი ლ ი — გოდოი, ვალენტინი, კონტრერასი, ფიგეროა, გონსალესი, ივარი, ხოჯი, არაია, ლანდა, ვალდესი, სანჩესი. თამაშს არბიტრობდა ინგლისელი ფიკინია, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩებს მოემსახურება.

მატჩი დასაწყისიდანვე უაღრესად დაძაბული ბრძოლით აღინიშნა და გოლი გატანილ იქნა უკვე მე-5 წუთზე. მასპინძელთა ერთ-ერთმა მცველმა უბეში ილეთი გამოიყენა ჩისლენკოს მიმართ და მსაჯმა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა დანიშნა. იგი ზუსტად გამოიყენა საბომ —1:0.

შესვენების შემდეგ ორივე გუნდში მოხდა ცვლილებები: მესხის, მალაფეევისა და ბანიშევსკის ნაცვლად გამოვიდნენ ჰუსაინოვი, მეტრეველი და სერებრიანიკოვი. ჩილის ნაკრებში შეიცვალა 3 თავდამსხმელი.

მასპინძლებმა ამაოდ სცადეს თამაშში გარდატეხის შეტანა: პირიქით, — 55-ე წუთზე მათ კარში გატანილ იქნა მეორე გოლიც.

ვითარება მინდორზე დაიძაბა და მსაჯი იძულებული იყო რამდენიმე მკაცრი სასჯელისთვის მიემართა. კერძოდ, მან 68-ე წუთზე საბჭოთა გუნდის კარში დანიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო, მაგრამ იგი არ იქნა რეალიზებული: სანჩესმა ბურთი ზედა ძელს მოახვედრა.

მატჩი დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელთა გამარჯვებით —2:0. აღსანიშნავენ კავაზაშვილის, აფონინის, შესტერნიოვის, საბოსა და ჩისლენკოს კარგ თამაშს. მასპინძელთაგან გამოირჩეოდნენ გოდოი, ფიგეროა, არაია და სანჩესი.

●

### „მშრალი" ანგარიშით

**ოთხშაბათს** მილანის „სანსიროს" სტადიონზე ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის პირველ მეოთხედფინალურ მატჩში ადგილობრივი „ინტერნაციონალე" შეხვდა ბუდაპეშტის „ფერენცვაროშს". საკლუბო გუნდებს შორის მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი მთელი მატჩის მანძილზე ფლობდა ინიციატივას, რამაც სათანადო ნაყოფიც გამოიღო: „ინტერნაციონალემ" გაიმარჯვა დიდი ანგარიშით —4:0.

საპასუხო მატჩი მოეწყობა 2 მარტს ბუდაპეშტის „ნეპშტადიონზე". **(საქ. ინფ.).**

●

### მატჩი ბრიუსელში

**ევროპის** ქვეყნების ჩემპიონთა თასის პირველ მეოთხედფინალურ მატჩში ბელგიის „ანდერლეხტმა" მიიღო მადრიდის „რეალი".

**„ანდერლეხტი":** ტრაპენიე, ჰეილენსი, კიალუნდა, პლასკი, კორნელისი, ანონი, პურიონი, შტოკმანი, მულდერი, ვან ჰიმსტი, პიუი.

**„რეალი":** ბეტანკორი, დე ფელიპე, სანჩისი, ზოკო, რუისი, პირი,ველასკესი, სერენა, ამანსიო, გროსო, ჰენტო.

თამაშის დასაწყისშივე მასპინძლებმა იერიში მიიტანეს „რეალის" კარზე და 1 წუთის შემდეგ ვან ჰიმსტმა გახსნა ანგარიში —1:0. ბელგიელი თავდამსხმელების სახიფათო რეიდებს ძლივს უმკლავდებოდა „რეალის" 7-8 ფეხბურთელი. შემდგომში უპირატესობა მცირე ხნით ესპანელთა მხარეს გადავიდა, რომელთა შორის გამოირჩეოდა ვეტერანი, გუნდის კაპიტანი ჰენტო, რომელიც „დირიჟორობასაც" ასწრებდა და სახიფათოდაც უტევდა მასპინძელთა კარს.

მეორე ტაიმში თამაში მთლიანად „რეალის" ნახევარზე მიმდინარეობდა. პიუიმ, შტოკმანმა და ვან ჰიმსტმა კარის აღების სულ ცოტა 5 ნაღდი შანსი ვერ გამოიყენეს. გარდა ამისა, ძალიან ძლიერად ითამაშა ბეტანკორმა.

„ანდერლეხტმა" მოიგო — 1:0, თუმცა ამ გამარჯვებას, კომენტატორთა აზრით, საპასუხო მატჩში დიდი ფასი არ ექნება: თასის მატჩებში ერთი გოლის სხვაობა ბევრს არაფერს ნიშნავს. 9 მარტს მადრიდში ეს გუნდები კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს. **(საქ. ინფ.).**

●

### სნაიპერები სდუმან

**ოთხშაბათს** ჩატარებული ამხანაგური მატჩი ინგლისის ნაკრებისთვის ომისშემდგომი პერიოდის 50-ე შეხვედრა იყო. ინგლისელებმა „უემბლის" სტადიონზე მიიღეს გფრ-ის ნაკრები.

**ინგლისი:** ბენქსი, კოენი, ნიუტონი (ვილსონი), მური, ჯ. ჩარლტონი, ჰანტერი, ბოლი, ჰანტი, სტაილსი, ჰერსტი, რ. ჩარლტონი.

**გფრ:** ტილკოვსკი, ლუტცი, პაცკე, ჰეტგესი, ბეკენბაუერი, შიმანიაკი, ლიბუდა, კრემერი, ჰელდი, ლორენცი, ჰორნიგი (ჰაისი).

წვიმამ მინდორი საგრძნობლად დააზიანა. ინგლისელებს საერთო უპირატესობა ჰქონდათ და მინდვრის ცენტრი მათი კონტროლის ქვეშ იყო, მაგრამ კარში დარტყმები არ უვარგოდათ. პირველი ნახევრის მიწურულში მასპინძლებმა შეძლეს ანგარიშის გახსნა —1:0. ეს გააკეთა სტაილსმა.

მეორე ტაიმში ინგლისის ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერები ჰერსტი და ჰანტი ამაოდ ცდილობდნენ სტუმართა კარის აღებას და... მაყურებელთა სტვენაც კი დაიმსახურეს. დაშავდა გერმანელთა მარცხენა გარემარბი ჰორნიგი, რომლის ნაცვლად გამოსულმა ჰაისმა 1 წუთის შემდეგ ინგლისელთა კარში ბურთი მოათავსა, მაგრამ მსაჯმა გოლი არ ჩათვალა.

ინგლისის ნაკრებმა გაიმარჯვა (1:0), მაგრამ კვლავ კრიტიკის ქარცეცხლში აღმოჩნდა. ბრიტანეთის პრესა აღნიშნავს, რომ თავდასხმას აკლია შედეგიანობა. წერენ, რომ თამაში საკმაოდ უინტერესო იყო და ეტყობა 75.000 მაყურებელიც ამ აზრისა იყო, ვინაიდან შეხვედრის მანძილზე პასიურობდა და მატჩის დამთავრების შემდეგ გუნდები ტაშით არ გაუცილებია. **(საქ. ინფ.).**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## [illegible]

მ ო ს კ ო ვ ი, 24 თებერვალი. ადგილობრივი „დინამოს“ სტადიონზე დღეს დაიწყო ყინულზე მოტორბოლაში მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი. შეჯიბრებაში მონაწილეობს 16 ფინალისტი. უჩვეულოდ გრძელმა ტრასამ და რბილმა ყინულმა მეტისმეტად გააძნელა რბოლა, მაგრამ მოტოციკლისტებმა მაღალი ოსტატობა, სიმამაცე და გამარჯვებისკენ შეუნელებელი ლტოლვა გამოამჟღავნეს. შეჯიბრების ლიდერმა, ევროპის ექს-ჩემპიონმა გ. კადიროვმა (უფა) მხოლოდ ერთ სერიაში დაუთმო პირველობა თანაგუნდელ ბ. სამოროდოვს და თუმცა შეჯიბრება ხვალ მთავრდება, უკვე გაინაღდა ოქროს მედალი. თანაც ერთ-ერთ სერიაში კადიროვმა დაამყარა ადგილობრივი სტადიონის რეკორდი. დანარჩენი საპრიზო ადგილების ბედი ხვალ გადაწყდება.

ერევანი, 24 თებერვალი. აქ დაიწყო ფეხბურთელთა ზამთრის ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ ადგილობრივი „არარატი“, დონეცკის „შახტიორი“, კიშინიოვის „მოლდოვა“, „გურნიკი“ (პოლონეთი) და სხვ. პირველ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ „არარატი“ და „გურნიკი“. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 3:0.

მ ო ს კ ო ვ ი, 24 თებერვალი. ჩოგბურთელთა X საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი დასასრულს უახლოვდება. გუშინ გაიმართა მეოთხედფინალური შეხვედრები. ა მეტრეველმა იოლად მოუგო მ. მოზერს (6:1, 6:2), ხოლო თ. ლეიუსმა დაამარცხა კოლუმბიელი უ. ალვარესი (6:4, 7:5). ს. ლიხაჩოვმა გაიმარჯვა ი. პარმასთან შეხვედრაში — 6:4, 4:6, 6:2.

# მომავალი

სსრ კავშირის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარში წლეულს პირველად დაიგეგმა 1948-49 და 1950-51 წლებში დაბადებულ მოსწავლე-მძლეოსანთა ზამთრის პირველობა ორჭიდში. ამ წამოწყების მიზანია საერთოდ „სპორტის დედოფლის“ განვითარებაზე ზრუნვა, კერძოდ კი — მომავალი ოლიმპიური თამაშებისთვის რეზერვის შექმნა.

ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები გუნდების წარმატებით მონაწილეობა საკავშირო ტურნირში შეუძლებელი იქნება, თუ სათანადო მოსამზადებელი მუშაობის საფუძველზე რაიონები და ქალაქები დროულად არ ჩაატარებენ მასობრივ ასპარეზობებს.

ამ მხრივ ვერაფერს ვუსაყვედურებთ თბილისის სპორტკავშირს, რომელმაც ბოლო ხანს საგრძნობლად გარდაქმნა მუშაობა მძლეოსნებთან და უფრო ხშირად და ორგანიზებულად აწყობს საქალაქო ტურნირებს. ასე იყო ამჯერადაც, როცა თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა მოსწავლეთა ზამთრის პირველობა. სამდღიან ტურნირში მონაწილეობდა დედაქალაქის შვიდივე რაიონის ნაკრები კოლექტივები და გლდანის სკოლა-ინტერნატის გუნდი (კონკურსგარეშე).

ყველა რაიონს შეჯიბრებაში უნდა გამოეყვანა თითო ნაკრები (28-28 სპორტსმენი). ეს დავალება, ჩვენი აზრით, მეტისმეტად შეღავათიანია, ვინაიდან ბევრ რაიონში თითქმის ამდენივე სკოლაა და, ცხადია, მონაწილეთა შეზღუდვა ბევრს დატოვებდა, ასე ვთქვათ, „თამაშგარე მდგომარეობაში“. ასპარეზობა უდავოდ მოიგებდა მონაწილენი უფრო მეტი რაოდენობით რომ დაეშვათ პირად ტურნირში საასპარეზოდ. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბევრ რაიონს ალბათ არაფრად ეპიტნავებოდა პირადი პირველობა, ვინაიდან ძირითადი გუნდის დაკომპლექტებაც გაუჭირდა. მაგალითად, კალინინის რაიონმა შეჯიბრებაში გამოიყვანა 21 სპორტსმენისგან შემდგარი გუნდი.

ბევრი მწვრთნელი და წარმომადგენელი ვიწროდ მოეკიდა ასპარეზობას. საერთო ჩათვლაში გამარჯვების მიზნით მათ მონაწილენი იმ ორჭიდში კი არ გამოიყვანეს, რომელიც სპორტსმენთა პროფილს შეესაბამებოდა, არამედ იქ, სადაც უფრო მეტ ქულას „მოიმკიდნენ“. მაგალითად, ვ. ქუთათელაძე (1-ლი მაისის რაიონი), რომელიც 17-18 წლის გოგონებში ასპარეზობდა, იმის ნაცვლად, რომ სპრინტერთა ორჭიდში (60 და 300 მ რბენა) გამოსულიყო, ძალებს ცდიდა ბირთვის მკვრელთა ორჭიდში (ბირთვის კვრა და 60 მ რბენა). ასევე იოლი გზა აირჩიეს ე. გაბარაევმა, ვ. ბარსუკოვმა და სხვ.

ტურნირმა მაინც გამოავლინა ბევრი კარგი გოგონა და ჭაბუკი. მათ უქმად არ გაუტარებიათ ზამთარი და ნაყოფიც მოგვცეს: ორჭიდში 1000-ზე მეტი ქულა მოიპოვეს. ასეთებია სპრინტერ ჭაბუკთა ორჭიდში გამარჯვებული ე. კონდრატიევი (ოქტომბრის რაიონი), გოგონებში — ლ. კორკოტაძე (26 კომისრის რაიონი), სიგრძეზე მხტომელ გოგონათა ორჭიდში გამარჯვებული ვ. იახშიანი (ოქტომბრის რაიონი), ჭაბუკთა შორის ბადროს ტყორცნაში უძლიერესი ლ. ყაჯრიშვილი (ორჯონიკიძის რაიონი), შუბის ტყორცნაში საუკეთესო შ. ხვთისიაშვილი (ინტერნატი). მათთან ერთად მინდა გამოვყო ლენინის რაიონის გუნდის წევრები დ. საბაური, თ. კორძაძე, პირად ჩათვლაში მონაწილე ი. ცანავა, რომლისგანაც საშუალო მანძილებზე კარგი მორბენალი უნდა დადგეს.

რაც შეეხება გუნდურ ბრძოლას, ამ პროცესმა ცხადყო, რომ ერთ სკოლაში უფრო მეტი კარგი მძლეოსანია, ვიდრე რაიონებში. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება გლდანის სკოლა-ინტერნატი, რომელმაც 15.290 ქულა მოაგროვა და 1500-მდე ქულით აჯობა რაიონთა შორის გამარჯვებულს — ლენინის რაიონს (13.768 ქულა). II ადგილზეა 26 კომისრის სახელობის რაიონი — 13.680, III — 1-ლი მაისის რაიონი — 13.353. თავის შესაძლებლობაზე უარესად გამოვიდნენ ორჯონიკიძის რაიონის მძლეოსნები, რომლებიც IV ადგილს დაჯერდნენ.

**რ. ტრაპაიძე,**
საქართველოს სპორტკავშირის მთავარი მწვრთნელი მძლეოსნობაში.

## ორივეჯერ — მეორე

როგორც ცნობილია, ტალინში ეს-ეს არის დამთავრდა სსრ კავშირის უძლიერეს მოცურავეთა ტურნირი „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე. შეჯიბრებაში საქართველოს რამდენიმე სპორტსმენიც გამოდიოდა. მათგან ყველაზე კარგი შედეგები მოიპოვა არმიელმა სპორტის ოსტატმა ა. ტუტაკაევმა. 100 და 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში მსოფლიო რეკორდსმენს — გ. პროკოპენკოს მხოლოდ მან გაუწია ღირსეული მეტოქეობა. მართალია, 100 მეტრზე ცურვისას ლვოველ სპორტსმენს ტუტაკაევი 2 წამით ჩამორჩა (თბილისელის დრო 1.09,9) და II ადგილი დაიკავა, სამაგიეროდ, 200 მეტრზე ცურვაში პროკოპენკომ, მძლეოსანთა ენით რომ ვთქვათ, „მკერდით მიასწრო“ მეტოქეს. მათი დრო ერთნაირია — 2.31,6.

### [illegible]

#### თბილისი

საქართველოს გეოლოგიის სამმართველოს კომპლექსური გეოლოგიური ექსპედიციის პროფკავშირის საძიებო კომიტეტმა ჩაატარა შეჯიბრება პირად პირველობაზე ჭადრაკსა და მაგიდის ჩოგბურთში, რომელიც მიეძღვნა საქართველოს კომპარტიისა და სკკპ XXIII ყრილობებს. ჭადრაკში I ადგილი მოიხვეჭა უფროსმა კარტოგრაფმა მ. ბრყოსტოვსკიმ, ხოლო მაგიდის ჩოგბურთში — ჰიდროგეოლოგმა ვ. გოგიშვილმა.

**გ. ვახტანგაძე.**

#### ხობი

დამთავრდა მოსწავლეთა რაიონული პირველობა ჭადრაკსა და მაგიდის ჩოგბურთში. ჭადრაკში I ადგილი წილად ხვდათ შუა ხორგის საშუალო სკოლის მოსწავლეებს, მაგიდის ჩოგბურთში კი ყველას აჯობეს რაიონის ცენტრის 1-ლი საშუალო სკოლის ნორჩებმა. შეჯიბრება სპორტის სხვა სახეობებში გრძელდება.

**ხ. არჯევანიძე.**

## ახალგაზრდების წარმატება

თ ბ ი ლ ი ს ი ს ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გრძელდება დედაქალაქის მოჭადრაკე ვაჟთა წლევანდელი ჩემპიონატი. გუშინწინ, V ტურში, თავი ისახელეს ასპარეზობის ახალგაზრდა მონაწილეებმა: ლევინმა დაამარცხა კალატოზიშვილი, კერნოჟიცკიმ — მაჭავარიანი, ხოლო უბილავამ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა დავითაშვილთან.

ბოკუჩავამ მოუგო ვეტოხინს, მიქაელიანმა — მეგრელიშვილს. ნანა ალექსანდრია დამარცხდა ციხელაშვილთან.

ყაიმზე შეთანხმდნენ ვარდოსანიძე და ჩეჩელიანი. ტურიაშვილს მიქაძესთან თამაშზე გამოუცხადებლობის გამო წაგება მიესაჯა.

3 პარტია გადაიდო.

## წიგნის თარო




### ვეტერანი მოგვითხრობს

ვინც ასე თუ ისე ჩახედულია ფეხბურთში, ვინც იცნობს ამ თამაშს საერთაშორისო სარბიელზე, მან უეჭველად იცის ვინაა სერ სტენლი მეტიუზი — ფინტების მეფე, შეუდარებელი ინგლისელი ფორვარდი, რომელიც 50 წლის ასაკშიც კი თამაშობდა ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში.

ამ დღეებში ბაზარზე გამოვა „ლელოს“ ბიბლიოთეკის“ სერიის მორიგი წიგნი — „35 წელი მარჯვენა ფრთაზე“, რომლის ავტორია ს. მეტიუზი.

ეს ნაწარმოები ავტობიოგრაფიული ხასიათის ჩანაწერებს წარმოადგენს. აქ მოთხრობილია ყველაფერი, რაც ეხება ამ გამოჩენილი ფეხბურთელის დიდ სპორტულ გზას, არის ბევრი სასარგებლო რჩევა-დარიგება და მითითება.

წიგნი გამოცემულია „საბჭოთა საქართველოს“ მიერ 20.000-ანი ტირაჟით და ღირს 16 კაპიკი.

## [illegible]

**გოგონები. 1950-1951 წ. დაბადებულნი:** 60 მ რბენა — ლ. კორკოტაძე (26 კომისრის რაიონი) — 1056 ქულა (60 მ — 8,2, 300 მ — 43,6), 80 მ თარჯრბენი — თ. რეფერტი (ლენინის რაიონი) — 931 (80 მ თარჯრბენი — 12,3, 60 მ რბენა — 8,4), სიმაღლეზე ხტომა — ნ. გნიოტოვა (1-ლი მაისის რაიონი) — 904 (სიმაღლე — 130, სიგრძე — 515), ბირთვი — დ. საბაური (ლენინის რაიონი) — 837 (ბირთვი — 12,44, 60 მ — 9,0); **1948-1949 წ. დაბადებულნი:** 60 მ — ლ. ევგროვა (ოქტომბრის რაიონი) — 996 (60 მ — 8,2, 300 მ — 44,1), 500 მ — ს. არმუშევა (ლენინის რაიონი) — 818 (500 მ — 1.23,1, 60 მ — 8,6), 80 მ თარჯრბენი — თ. ეპიფანოვა (ლენინის რაიონი) — 862 (80 მ თარჯრბენი — 13,0, 60 მ — 8,2), სიმაღლეზე ხტომა — მ. ღადიანიძე (ლენინის რაიონი) — 610 (სიმაღლე — 130, 60 მ — 8,8), ც. ხვედელიძე (ორჯონიკიძის რაიონი) — 610 (130 და 8,8), სიგრძეზე ხტომა — ვ. იახშიანი (ოქტომბრის რაიონი) — 1184 (სიგრძე — 524, 60 მ — 7,9), შუბი — ვ. სლანოვა (ორჯონიკიძის რაიონი) — 1178 (შუბი — 37,80, ბურთი — 12,65), ბადრო — ც. ჯაფარიძე (ინტერნატი) — 704 (ბადრო — 35,70, 60 მ — 9,1), ბირთვი — ვ. ქუთათელაძე (1-ლი მაისის რაიონი) — 941 (ბირთვი — 9,30, 60 მ — 7,8).

**ჭაბუკები. 1950-1951 წ. დაბადებულნი:** 60 მ რბენა — თ. კორძაძე (ლენინის რაიონი) — 815 ქულა (60 მ — 7,2, 300 მ — 39,8), 1000 მ — ზ. კოვზირიძე (ინტერნატი)—558 (1000 მ—2.57,0, 60 მ—7,8), 110 მ თარჯრბენი — ვ. ხარტიშვილი (ინტერნატი) — 801 (თარჯრბენი — 16,8, 60 მ — 7,8), ბირთვი — შ. ჩახუნაშვილი (ინტერნატი) — 808 (ბირთვი — 13,68, 60 მ — 8,1), სიმაღლეზე ხტომა — რ. ანგელოვი (26 კომისრის რაიონი) — 711 (სიმაღლე — 155, სიგრძე — 575). **1948-1949 წ. დაბადებულნი:** 60 მ რბენა — ე. კონდრატიევი (ოქტომბრის რაიონი) — 1119 (60 მ — 7,2, 300 მ — 36,7), 600 მ — გ. ემინოვი (ორჯონიკიძის რაიონი) — 926 (600 მ — 1.28,9, 60 მ — 7,3), 1000 მ — ი. ცანავა (პირადი) — 935 (1000 მ — 2.41,3, 300 მ — 38,8), 2000 მ — ა. დარჩინიანი (პირადი) — 737 (2000 მ — 6.41,2; 5 კმ სპორტული სიარული—27.38,2), 110 მ თარჯრბენი — ვ. როდიონოვი (ორჯონიკიძის რაიონი) — 958 (თარჯრბენი — 16,7, 60 მ — 7,3), სიგრძეზე ხტომა — ე. გაბარაევი (კიროვის რაიონი) — 1179 (სიგრძე — 654, 60 მ — 7,0), სიმაღლეზე ხტომა — ა. კარგიშვილი (ლენინის რაიონი) — 1005 (სიმაღლე — 180, 60 მ — 7,4), სამხტომი — ა. ბაბაევი (კიროვის რაიონი) — 916 (ხტომა — 13,49, 60 მ — 7,2), ჭოკი — ვ. ზუბკო (ლენინის რაიონი) — 1031 (ხტომა — 360, 60 მ — 7,3), ბადრო — ლ. ყაჯრიშვილი (ორჯონიკიძის რაიონი) — 1066 (ბადრო — 44,12, 60 მ — 7,4), შუბი — შ. ხვთისიაშვილი (ინტერნატი) — 1886 (შუბი — 51,10, ბურთი — 17,44), ურო — ი. ჩერკაშინი (26 კომისრის რაიონი) — 756 (ურო — 48,83, 60 მ — 8,2), ბირთვი — ვ. მეტაქსე (კიროვის რაიონი) — 904 (ბირთვი — 13 მ 60 მ—7,4).

# აი, რა გვიჩვენა

ტანვარჯიშის სპეციალისტები ერთხმად მიუთითებენ დაჭიმული ფეხებით ბოგზე დახტომის აუცილებლობაზე. „ბოგზე დახტომი რეკომენდებულია შესრულდეს ცერებით, რომელსაც მოყვება ენერგიული არეკნი მთელი ტერფიდან, რაც ხორციელდება მენჯ-ბარძაყისა და მუხლის სახსრების სწრაფი გამართვით“ (ს. ვ. იანანისი, კ. მ. ივანოვი. 1950 წ.).

ფეხებით არეკნი უფრო დაწვრილებით აქვს აღწერილი ლ. პ. სემიონოვს (1962 წ.). ავტორის მონაცემებით, ტანმოვარჯიშე არეკნისთვის ფეხების გამართვას იწყებს ჯერ კიდევ ცერებით ბოგზე შეხებამდე: „დახტომი ბოგზე სრულდება დაჭიმული ფეხის ცერებით (მუხლის სახსრების მოხრის კუთხე უნდა იყოს 160-165 გრადუსი)“. არეკნის მომენტში ავტორს მიზანშეწონილად არ მიაჩნია მთელ ტერფზე დაშვება. მისი აზრით, არეკნის დამთავრების მომენტში მოძრაობა ყველა სახსარში წყდება და ფეხები მთლიანად იმართება.

იგივე ავტორი ღ. ს. იაკუბენკოსთან ერთად ფეხებით არეკნის ტექნიკის აღწერისას (ლ. პ. სემიონოვი და დ. ს. იაკუბენკო. 1965 წ.) უფრო დეტალურად განიხილავს ფეხებით არეკნის ცალკეულ მომენტებს: „ბოგთან ფეხებით შეხების მომენტში (ტერფის წინა ნაწილით დაბჯენისას) ბოგზე საერთო დაწოლა, როგორც წესი, არ აღემატება 700 კგ-ს. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ბოგზე სრულდება ფეხების მთელი ტერფის, ან ქუსლიდან აქცენტირებული დარტყმა, საერთო დაწოლის ძალა იზრდება 1000 კგ-მდე“. შემდეგ ავტორები განაგრძობენ, რომ „მიუხედავად ამისა, ფეხების დარტყმის აქცენტირება „ცერიდან“ ტანმოვარჯიშეს საშუალებას აძლევს განავითაროს უფრო მეტი ძალვა მთელი არეკნის პროცესში, რამდენადაც „ცერებიდან“ არეკნისას საერთო დაწოლის დაქვეითება მხოლოდ 0,06-0,07 წამის შემდეგ იწყება, მთელი ტერფიდან არეკნისას კი — 0,02 წამის შემდეგ“.

ამრიგად, ზოგიდან არეკნის რეკომენდაცია მიმართულია იმ პირობების განსაზღვრისკენ, რომელიც ტანმოვარჯიშეს შესაძლებლობას უქმნის მაქსიმალურად გამოიყენოს ფეხების კუნთების ძალა (უმთავრესად) ეფექტური არეკნის შესასრულებლად.

ყველა ავტორის აზრი, რომ ბოგზე ფეხების შეხების ხანგრძლიობა მერყეობს 0,09-0,12 წამის ფარგლებში, ერთმანეთს ემთხვევა. ამ დროის ნაწილი — დაახლოებით 0,02-0,04 წამი — იხარჯება ბოგის დეფორმაციაზე მიყენებული ძალის (ბოგზე დახტომი) ზეგავლენით, ე. ი. ბოგიდან მოცილების პერიოდი მერყეობს 0,05-0,07 წამის ფარგლებში. ბოგიდან არეკნის კინოგრამების ანალიზი გვიჩვენებს, რომ კვალიფიციურ ტანმოვარჯიშეებში მენჯ-ბარძაყისა და მუხლის სახსრებში არსებული კუთხე არ იცვლება ბოგის ზედაპირზე ფეხებით შეხების მთელი პერიოდის განმავლობაში. აქედან გამომდინარე, ერთის მხრივ — დროის სიმცირე, რომელშიც უნდა ხდებოდეს კუნთთა ძალვის განვითარება, ხოლო მეორეს მხრივ — მენჯ-ბარძაყისა და მუხლის სახსრებში არსებული კუთხის უცვლელობა საეჭვოს ხდის იმ აზრს, რომ კვალიფიციურ ტანმოვარჯიშეებს შეუძლიათ განავითარონ ისეთი კუნთური ძალვა, რომელიც ეფექტური არეკნის შესრულებისთვის იქნება საკმარისი.

„რეიტერის“ ტიპის ბოგი ისე იქნა მოწყობილი, რომ შესაძლებლობა მოგვეცა ჩაგვეწერა ტანმოვარჯიშის მიერ არეკნის მომენტში ბოგზე მიყენებული ვერტიკალური და ჰორიზონტალური (წინ და უკან) მდგენელი ძალვები (ტენზომეტრული მეთოდის საშუალებით). ბჯენითი რეაქციის ზემოაღნიშნულ მონაცემებთან ერთად ოსცილოგრამაზე იწერებოდა არეკნის ხანგრძლიობის დრო (სხვანაირად რომ ვთქვათ, ბოგზე ტანმოვარჯიშის დაყოვნების დრო წამის 1/500 სიზუსტით). ძალვის ოდენობის ჩაწერასთან ერთდროულად წარმოებდა კინოგადაღება.

**ჩატარებული ცდების შედეგები.** ძალვის ჩაწერა და კინოგრამების გადაღება წარმოებდა სხვადასხვა კვალიფიკაციის ტანმოვარჯიშეთა მიერ სხვადასხვა ბჯენითი ხტომის შესრულებისას.

დადგენილი იქნა, რომ მაღალკვალიფიციური ტანმოვარჯიშეებიც კი (მაგალითად, სპორტის ოსტატები) ბოგს ფეხებით სხვადასხვანაირად ეხებიან. ზოგიერთები მას ცერებით ახტებიან, ზოგნი კი — მთელი ტერფით. იყო ქუსლებზე დახტომის შემთხვევებიც. ბოგზე დახტომის ფორმა ტანმოვარჯიშისთვის სპეციფიკური აღმოჩნდა.

შემჩნეული არ ყოფილა ბოგზე დახტომის ხასიათის ცვლილება არა მარტო ერთი და იგივე ხტომის შესრულებისას, არამედ იმ შემთხვევაშიც, როდესაც ტანმოვარჯიშე სხვადასხვა სირთულის ხტომებს ასრულებდა.

ფეხების ბოგთან შეხების საერთო ხა-

## არეკნის ტექნიკის შედარებითი ანალიზი

ვეხმაურებით ვ. მდივნის წერილს „შედეგები, პრობლემები...“

# შეცდომები, პრეტენზიები...

ა. კოტრიკაძე,
თბილისის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ № 39.

სისწრაფე ბუნებრივი მონაცემია. წვრთნით შეიძლება იგი თვითეული ფეხბურთელის, ასე ვთქვათ, პირად მაქსიმუმამდე ავიყვანოთ და მეტი არაფერი. ასე რომ, რეხვიაშვილი ვერასოდეს ირბენს ისე, როგორც ცხოვრებოვი და უმართებულო იქნება ამის მიზეზი წვრთნის ნაკლებობაში ვეძიოთ. ყველა სხვა საკითხს, რომელიც სპორტსმენის სისწრაფის ზრდასთან არის დაკავშირებული, აშუქებს ნ. ლიუკშინოვის სტატია („ფუტბოლი“ № 5, 1966 წ.) და მე აღარ გავიმეორებ მათ.

ჩემი აზრით, უსწოროა იმის მტკიცება თითქოს დინამოელებს სპეციალური ინდივიდუალური ვარჯიში არა აქვთ. ამაში დასარწმუნებლად საკმარისია დიღმის ბაზაზე ჩამოსვლა და წვრთნაზე დასწრება. დინამოელები სპეციალურ ვარჯიშებს ატარებენ, მაგრამ მათ შორის არ არის ისეთი, რომელიც შრომისმოყვარეობას ნერგავდეს. რატომ? იმიტომ, რომ ასეთი ვარჯიშები არ არსებობს. შრომისმოყვარეობა (შრომისუნარიანობისაგან განსხვავებით) ადამიანის ფიზიკურ თვისებათა რიცხვს არ მიეკუთვნება და ამიტომ სპეციალური ფიზიკური ვარჯიშებით მისი აღზრდა ისევე შეუძლებელია, როგორც, ვთქვათ, თავმდაბლობის, სამართლიანობის ან სიბეჯითისა. ამ თვისებათა აღზრდა სხვა, უფრო რთული გზებით წარმოება (უმეტესად ადრინდელ ასაკში).

არ ღირდა იმაზე ლაპარაკი, რომ მაღალი ტექნიკა თავისთავად ცოტაა, თუ მისი გამოყენება არ შეგიძლია „საბრძოლო პირობებში“. მაგრამ იძულებული ვარ ეს ვთქვა, ვინაიდან სტატიის ავტორს მიაჩნია, თითქოს დინამოელები ტექნიკას უმთავრესად გამოცდილებასთან ერთად იძენენ და არა სპეციალური ვარჯიშით. ეს მტკიცება უმართებულოა. ჭეშმარიტება იმაში მდგომარეობს, რომ მოთამაშემ ტექნიკის გამოყენების უნარი გამოცდილებით უნდა შეიძინოს და ამის მიღწევის გზა მხოლოდ ერთია. ვერავითარი ვარჯიში ვერ შეცვლის ნამდვილ მატჩს.

უდავოა, ფეხბურთელთა მონდომების მნიშვნელობა ტექნიკის ზრდისთვის და დამოუკიდებელი მუშაობის აუცილებლობაც. ვინც ამის შეგნებამდეა მისული, მას შედეგებიც სათანადო აქვს. მესხის ცნობილი ფინტიც და დათუნაშვილის მოჭრილი დარტყმებიც ასეთი შრომის პროდუქტია. ამასთან დაკავშირებით სავსებით მართებულია ვ. მდივანს რომ დათუნაშვილის სიბეჯითე მოსწონს და გ. სიჭინავას რომ საყვედურობს, მაგრამ რაც შეეხება მესხსა და მეტრეველს, აქ კი ავტორი სცოდავს. ჯერ ეს ერთი, რას ქვია მარცხენა და ან მარჯვენა ფინტი? რომელი ფეხის ფინტად თვლის ავტორი მესხის ცნობილ ფინტს? ყველაფერი — ყველაფერი და, მესხს ფინტების მხრივ პრეტენზიებს უკიდურესად კრიტიკულად განწყობილი სპეციალისტიც კი ვერ წაუყენებს. ასევე მეტრეველსაც ვერავინ შეედავება რომელიმე დარტყმის (მათ შორის კუთხურის) შესრულებაში. თუ ვ. მდივანს ჰგონია, რომ კუთხურის მოწოდების საუკეთესო ვარიანტი ბურთის მოჭრაა, იგი ცდება. ასეთი ბურთები პირდაპირ კარშიც გადის, როგორც ეს დათუნაშვილმა უჩვენა „ოქროს მატჩის“ მაყურებლებს, მაგრამ კარს უკანაც გადის და გაცილებით უფრო ხშირად, ვიდრე კარში.

სადისკუსიო სტატიის ავტორისთვისაც კი მეტისმეტია იმის მტკიცება, თითქოს ჩვენი წამყვანი მოთამაშეები ვერ ფლობდნენ ე. წ. „კედელს“. ვინ არ იცის, რომ დინამოელები ფლობენ ამ ხერხს და საკმაო ხანიცაა, მაგრამ „კედლის“ გამოსაყენებლად საჭიროა არა მხოლოდ მისი ცოდნა, არამედ სათანადო სიტუაციაც.

სოლური საფუძვლები, რომლებიც ფეხბურთელთა სულიერ მდგომარეობაზე და, რაც მთავარია, მათ ტექნიკურ აღჭურვილობაზეა დამოკიდებული, უდავოდ ერთ-ერთი საუკეთესო თვისებაა ქართული ფეხბურთისა. განწყობილება — აი, ქართული ფეხბურთის ძალაც და მისი სისუსტეც. წერს ამხ. მდივანი. ეს თითქმის სავსებით სწორი აზრია. უდავოდ კარგია, როცა გუნდი განწყობილებით თამაშობს და არა აპათიურად და ეს გარემოება თავისთავად არ შეიძლება სისუსტედ იქცეს რაიმე პირობის გამო.

სისუსტე იმალება არა თვისებაში — თამაშობდე განწყობილებით, არამედ ამ განწყობილების შინაარსში. სწორედ ეს არის და აღარ უნდა იყოს თბილისის დინამოელთა მთავარი სისუსტე. ვინ არ იცის, თუ როგორ აითვისა ქართულმა ფეხბურთმა „დუბლ-ვეს“ სისტემა, რა შემატა მას საკუთარი და როგორ გამოიყენა იგი?

ვისაც პაიჭაძისეული და ღოღობერიძისეული „დუბლ-ვე“ უნახავს, მისთვის ნათელია ის თავისებურებანი, რომლებიც ქართულმა ფეხბურთმა შეიტანა ამ ინგლისურ სისტემაში, ხოლო რაც შეეხება ბრაზილიური სისტემის „გადმოქართულებას“, საამისოდ საკმარისია მოვიგონოთ „დინამოს“ თამაში ბოლო 3 წლის მანძილზე.

„ღედანთან“ განსხვავებები გამოწვეულია არა მხოლოდ ჩვენი ფეხბურთელების კლასის დონით, არამედ სხვა ფაქტორებითაც. ბრაზილიურ სისტემაზე გადასვლა სიძნელეებთანაა დაკავშირებული, თუმცა არა ისეთებთან, რომლებზეც ვ. მდივანი მიუთითებს. მოქმედებათა მაღალი ინდივიდუალიზაცია, რომელიც მოითხოვს შეთანხმებულებას, არ წარმოადგენს სირთულეს მაშინ, როცა ფეხბურთელებს მაღალ ტექნიკასთან ერთად მაღალი სათამაშო დისციპლინაც აქვთ. ჩვენი გუნდის ერთ-ერთი სუსტი მხარე, როგორც უკვე ვთქვი, სათამაშო დისციპლინის უკმარი დონეა და ამიტომ ყველაფერი, რაც ამ ხარვეზის გამართლებას ლამობს, საზიანოა გუნდისთვის.

ვ. მდივანი წერს, რომ ის თანახმაა გ. სიჭინავას საკადრისი მიუზღას ინდივიდუალურ თამაშში ზომიერების საზღვრების დარღვევისთვის, რითაც, უდავოდ მნიშვნელოვან სამსახურს უწევს დისციპლინის ამაღლების საქმეს. მაგრამ იგი იქვე აბათილებს ამ თანხმობის მნიშვნელობას იმის მოთხოვნით, რომ ხსენებული საზღვრები სიჭინავას მიმართ შაბლონით არ უნდა იზომებოდეს, ვინაიდან ვისაც მეტი შეუძლია, მას მეტი საშუალებაც უნდა მიეცეს — ითამაშოს თამაშით.

საქმე ის არის, რომ თამაშის საკუთარ თავზე აღება არავის ეკრძალება და მათ შორის არც გ. სიჭინავას, მაგრამ ასეთი ინიციატივა მარტო იმას არ ნიშნავს, რომ პარტნიორები შენს გადაწყვეტილებაზე იყვნენ დამოკიდებული. მთავარია, რომ ეს გადაწყვეტილება იყოს სწორი. თამაშის თავის თავზე აღებს მისი უბრალოდ წარმართვა კი არ ევალება, არამედ **ს წ ო რ ი** წარმართვა.

ფეხბურთელის ნიჭი, მისი შესაძლებლობანი, ბურთის ტარება იქნება ეს, თუ ზუსტი გადაცემა, გამოყენებული უნდა იქნას მეტოქის კარის აღებისა და საკუთარის უვნებელყოფის მიზნისთვის. ეს რთული ტაქტიკური ამოცანაა. ზოგჯერ სწორედ ინდივიდუალური მოქმედებაა საუკეთესო გაგრძელება, მაგრამ საკუთარ ტექნიკურ შესაძლებლობათა დემონსტრაცია კი — არასდროს. ტექნიკა თვითმიზანი არ არის, ის მხოლოდ საშუალებაა ზემომოყვანილი მიზნის მისაღწევად. ამ საზომით უნდა მივუდგეთ ყველა ფეხბურთელს და თუ სავალდებულოა, რომ მეტის შემძლეს სხვაგვარად მოვთხოვოთ, ვიდრე ნაკლებისას, მაშინ ეს განსხვავება იმაში უნდა გამოიხატოს, რომ პირველს მეტი მოეთხოვოს.

ისეთი მდგომარეობა, როცა ნახევარმცველს არა ჰყავს პარტნიორი, რომლისთვისაც შეიძლება ბურთის მიწოდება და ამიტომ იძულებულია მთელი მინდორი გაიაროს, წარმოუდგენელია (მინდორზე, თორემ ქაღალდზე ყველაფერია შესაძლებელი) და მთლიანად სტატიის ავტორის ფანტაზიას უნდა მიეწეროს, ისევე, როგორც მხიარული მონოლოგები, რომლებსაც იგი ფეხბურთელებს წარმოათქმევინებს თავისი შეხედულების დასამტკიცებლად. „რატომ უნდა ვირბინო ტყუილად, სულ ერთია, მაინც გამხსნიან, მერე კი ეს ჩემი საქმეა“, — ფიქრობს თავდამსხმელი, რომელიც რამდენიმე აბზაცის შემდეგ იცვლის ამ ოპტიმისტურ რწმენას და კარგავს იმედს: „რატომ უნდა გავიხსნა, ბურთს მაინც არ მომაწოდებენ“.

უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი უიმედობა აღარ შეიპყრობს ჩვენს თავდამსხმელებს სტატიის წაკითხვის შემდეგ, ვინაიდან იქ ნათლადაა დამტკიცებული, რომ ნახევარმცველი თურმე იმიტომ ათრევს ბურთს, რომ თავდამსხმელი გახსნას და გადასცეს მას. რამდენადაც ვიცი, აქამდე ეს გარემოება არც თვით ნახევარმცველებმა იცოდნენ, მაგრამ მათს ინდივიდუალიზმსა და ბურთის უაზრო თრევას ახლა იდეური გამართლება მიეცა და ყველაფერი ნათელი გახდა. ყველაფერი, გარდა გ. სიჭინავას უსწორო მოქმედების დაცვისა, როცა თვით მას აქვს შეგნებული თავისი შეცდომები და არაერთხელ უთამაშია უნაკლოდ, როცა მოუნდომებია. ასე რომ, გ. სიჭინავაა სწორად გამოყენების პრობლემა კი არ არსებობს, არამედ მისი სათამაშო დისციპლინის ამაღლების ამოცანა, მისი ტაქტიკური აზროვნების აყვანა მისივე ტექნიკის დონეზე.

(გაგრძელება იქნება)

# ფეხბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!

როგორც ცნობილია, თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე დღეს იწყება საინტერესო ტურნირი ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის „ა“ კლასის გუნდები და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელი — პრეშოვის „ტატრანი“.

„ლელოში“ გამოქვეყნებული იყო ტურნირის კალენდარი, მაგრამ საორგანიზაციო კომიტეტისგან დამოუკიდებელი მიზეზებით მასში მოხდა ცვლილებები. ფეხბურთის მოყვარულებს ვთავაზობთ პირველი ორი დღის შეხვედრათა ახალ განრიგს (დანარჩენი მატჩების კალენდარი მოგვიანებით გამოქვეყნდება):

**26 თებერვალი.** „დინამო“ (ბათუმი) — „ტატრანი“ (პრეშოვი). დასაწყისი 16 საათზე.

**27 თებერვალი.** „ლოკომოტივი“ (თბილისი) — სკა (როსტოვი). დასაწყისი 14 საათზე.

მათი ზნე-ჩვეულებანი

# „ჩაყვინთვა ცოლ-ქმრობაში“



არც თუ დიდი ხნის წინათ გაზეთები იტყობინებოდნენ ფილადელფიაში მომხდარ ერთ ამბავზე წყალქვეშა ცურვის ამერიკელმა მოყვარულმა კლოტცმა ცოლად შეირთო მოცურავე ეტელ მეილი. სპეციალურ სკაფანდრებში კლოტცი და მისი გულის ვარდი 100 მეტრზე უფრო ღრმად ჩაეშვნენ წყალში. ტრადიციული შეკითხვითა და კურთხევის სიტყვით მღვდელი მათ წყალქვეშა ტელეფონით დაუკავშირდა. მერე საქმრომ და საცოლემ ერთმანეთს თავსახურები მიახადეს, რაც მათებურად კოცნას ნიშნავდა. ცერემონია ამით მორჩა.

კლოტცისა და მისი მეუღლის გვირგვინი მოსვენებას უკარგავს ზოგიერთებს ევროპაში. მაგალითად, საფრანგეთის პრესამ ამას წინათ გამოაქვეყნა სენსაციური წერილი სათაურით — „ჩაყვინთვა ცოლ-ქმრობაში“. ამ წერილში იტყობინებოდნენ, რომ 22 წლის მოცურავე დომენიკა დეზინიემ (ნიცა) გათხოვებამდე დიდი ხნით ადრე განაცხადა „მე ისე მიყვარს ცურვა, რომ როგორღაც აუცილებლად სპორტულად გავთხოვდებიო“.

შემდეგ მოთხრობილია დომენიკას დაქორწინების ამბავი. საცოლე ზღვის სანაპიროზე უცნაურ სამოსში — თეთრ საქორწინო ლენჩაქგადაფარებულ საცურაო ტანსაცმელში გამოჩნდა. შემდეგ პატარა ფიცარნაგიდან მან წყალში ჩაყვინთა, რამდენიმე წრე გასცურა და მხოლოდ ამის შემდეგ მიცურდა თავის საქმროსთან — რობერტ პინელისთან (იხ. სურათი).

რამდენადაც საქმრო აკვაპურის მწვრთნელია, იგი თავის ტრადიციულ შავ ცილინდრში იყო გამოწყობილი. დასავლეთგერმანული ჟურნალი „შტერნი“ წერს, რომ „ყველა სტუმარი ქორწილზე საცურაო კოსტუმში მოვიდა. ეს არის, რომ მღვდელი ვერაფრით დაითანხმეს ამგვარად გამოწყობილი მოსულიყო.

როგორც იტყვიან, ყველა თავისებურად ერთობა. და ქორწინდება კიდეც...

# ექსპერიმენტმა

## ყირამალით ბჯენითი ხტომების შესრულებისას

...ნგრძლივობა კვალიფიციურ ტანმოვარჯიშეებში მერყეობს 0,08-0,12 წამის ფარგლებში.

ბოგის დეფორმაციის მრუდის განვითარებაში დიდი ინდივიდუალური განსხვავება აღმოჩნდა, განსაკუთრებით ვერტიკალური მდგენელის მიმართ. სურათზე მოცემულია სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრის, სპორტის ოსტატ მ. ბოგუსის მიერ შესრულებული ბჯენითი ხტომის — 180 გრადუსზე ბრუნით წინყირამალის (ტაიჭი სიგანეზე, სიმაღლე 110 სმ) ოსცილოგრამა.

ყურადღებას იპყრობს იმ ხაზის დაქვეითება, რომელიც გამოსახავს ვერტიკალური ძალვის სიდიდეს (ოსცილოგრამის ზედა მრუდი). ეს 1110-კილოგრამიანი ძალვა ბოგზე თითქმის გამართული ფეხებით „ცერებზე“ დახტომის შედეგად მიიღება. მთელ ტერფზე გადასვლა იწვევს ძალვის რამდენადმე დაქვეითებას (ამორტიზაცია). ამის შემდეგ ტანმოვარჯიშის მიერ გამოიყენება ბოგის ნარჩენი დეფორმაცია; ძალვის შესატყვისი სიდიდე აღწევს 600-700 კგ-ს. ეს ძალვა ზევით ატყორცნის ტანმოვარჯიშის ტანს.

ამრიგად, საყრდენი რეაქციის დროის ანალიზი გვარწმუნებს, რომ მისი ხანგრძლიობა უკმარია იმ კუნთური ძალვის გამოსავლენად, რომელიც აუცილებელია ტანმოვარჯიშის სხეულის საერთო სიმძიმის ცენტრის ხასურველი ტრაექტორიით წარმართვისთვის. ბოგიდან არეკნისას ფეხების აქტიური გამართვა რომ



არ ხდება, ამის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ადგილი არა აქვს ჰორიზონტალურად უკან მოძრაობისკენ მიმართულ კუნთურ ძალვას (ოსცილოგრამის შუა ხაზი).

ერთის მხრივ, — ბოგის ზედაპირის ბლიერი დეფორმაცია (1000-1500 კგ), ხოლო მეორეს მხრივ, — მაქსიმალური კუნთური ძალვის გამოვლენისთვის დროის ინტერვალის უკმარობა (0,03-0,05 წამი) საეჭვოს ხდის იმ აზრს, რომ ბოგიდან მოწყვეტა ხორციელდება „მაქსიმალური კუნთური დაძაბვის“ ხარჯზე.

ამ მიმართებით ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა ცდები, სადაც ცდის პირებს წინადადება ეძლეოდათ ბოგზე დგომიდან შეესრულებინათ არეკნი მაქსიმალური შესაძლებლობით. ამ შემთხვევაში, როგორც წესი, ვერტიკალური ძალვის სიდიდე არ აღემატებოდა 100-175 კგ-ს. არეკნის შესასრულებლად ტანმოვარჯიშე ხარჯავდა 0,45-0,5 წამს. ამავე. სიმაღლეზე არეკნისთვის ნაკლები დროის დახარჯვის ცდა უშედეგოდ დამთავრდა.

ყველა კვალიფიკაციის ტანმოვარჯიშე ბოგიდან „მოცილებას“ ასრულებს ისეთი ძალის გამოყენებით, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება მის კუნთურ შესაძლებლობებს. ამიტომაც იბადება კითხვა ტანმოვარჯიშის აქტიური მოქმედების ბიომექანიკურ მიზანშეწონილობაზე, რომელიც ბოგიდან მოცილებაზეა მიმართული.

ტანმოვარჯიშის კუნთური სისტემია აქტივობა არეკნისკენ კი არ უნდა იყოს მიმართული (როგორც ეს ლიტერატურაშია მითითებული), არამედ კუნთთა დაძაბვის საშუალებით „მკვრივი“ სისტემის შექმნისკენ, რომელიც ბოგის ელასტიური თვისებების გამოყენების საშუალებას იძლევა.

ს. თედეევი,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ფიზკულტურის ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

## სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში

# შეჯიბრებების ოქმებიდან

**24 თებერვალი**

● **სპი (თბილისი) — ასკ (ლენინგრადი) 59.53 (24:18).**

**სპი:** სანაძე (გუნდს შესძინა 16 ქულა), ქველიძე (14), ჯანელიძე (10), გრიგორიანი (7), სურგულაძე (6), კოვზირიძე (6).

**ასკ:** სუვოროვა (16), ლეონტიევა (8), ხალდეევა (8), პოზნანსკაია (8), ოვანესოვა (7), ბობროვა (4), ივანოვა (2), სმირნოვა, აზბუკინა.

**მსაჯები:** რ. ისააკიანი (ერევანი) და ი. სილინში (რიგა).

● **„ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „დინამო" (მოსკოვი) 64:46 (35:25).**

**„ურალმაში":** შვეცოვა (17), ფომინიხი (16), ედელევა (10), ჩიანოვა (8), ანდრეევა (8), გრეჩინა (3), ფაიზულინა (2), როჟკოვა, შიროკოვა.

**„დინამო":** ზ. ბლოხინა (11), ბუბჩიკოვა (8), საპრონოვა (7), ვორონინა (7), ი. ბლოხინა (4), კოზლოვა (4), პისკარიოვა (3), ხომუტოვა (2), ელიშევა.

**მსაჯები:** ვ. კოიფმანი (მინსკი) და მ. ბაგრატიონი (თბილისი).

● **„დინამო" (ნოვოსიბირსკი) — „ბურევესტნიკი" (როსტოვი) 59:51 (38:17).**

**„დინამო":** კონოვა (16), არისტარხოვა (16), ბემბუხი (8), ანტიპინა (8), ტარასოვა (7), მაზურკოვა (4).

**„ბურევესტნიკი":** ბაკალი (19), პლოტნიკოვა (8), ბელიკოვა (7), სლიდენკო (5), ბორისოვა (4), სავინა (4), გერასიმენკო (2), კრავჩუკი (2).

**მსაჯები:** რ. ხომერიკი და მ. ქურიძე (ორივენი — თბილისი).

**25 თებერვალი**

● **„დინამო" (ნოვოსიბირსკი) — სპი (თბილისი) 54:49 (21:20).**

**„დინამო":** კონოვა (25), ანტიპინა (10), ტარასოვა (7), არისტარხოვა (6), იურჩკო (6), ბემბუხი, სტეპანოვა.

**სპი:** ქველიძე (14), სურგულაძე (13), ჯანელიძე (11), გრიგორიანი (8), სანაძე (3).

**მსაჯები:** ვ. კოიფმანი (მინსკი) და რ. ისააკიანი (ერევანი).

● **„ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „ბურევესტნიკი" (როსტოვი) 58:44 (25:24).**

**„ურალმაში":** შვეცოვა (19), ფომინიხი (16), ედელევა (10), გრეჩინა (6), ჩიანოვა (5), ანდრეევა (2), ფაიზულინა, როჟკოვა, შიროკოვა.

**„ბურევესტნიკი":** ბაკალი (12), სლიდენკო [illegible] კოვა (10), სავინა (4), [illegible] (3), კოტლოვა (2), გერასიმენკო (2), ბორისოვა (1), კოვალსკაია, ბუზინა, კრავჩუკი.

**მსაჯები:** მ. ბაგრატიონი და მ. ქურიძე (ორივენი — თბილისი).

● **„დინამო" (მოსკოვი) — ასკ (ლენინგრადი) 49:46 (29:21).**

**„დინამო":** ზ. ბლოხინა (17), ვორონინა (9), ბუბჩიკოვა (8), საპრონოვა (6), ი. ბლოხინა (6), ხომუტოვა (3).

**ასკ:** ლეონტიევა (14), სმირნოვა (12), სუვოროვა (11), პოზნანსკაია (7), პროსვირინა (2), ოვანესოვა.

**მსაჯები:** რ. ხომერიკი (თბილისი) და ი. სილინში (რიგა).

# ფიქრები ჩემპიონატზე

ევროპის კალათბურთი, როგორც ჩანს თვისობრივი ევოლუციის მიჯნას მიადგა. ამას, პირველ ყოვლისა, გვაფიქრებინებს ლიდერთა პოზიციებში მომხდარი ცვლილებები. თავად განსაჯეთ: ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებამ ჯერ მარტო წლეულს იმდენი სიურპრიზი შემოგვთავაზა, რამდენიც ტურნირის მთელს ისტორიას არ ახსოვს ყველაზე მეტად საგულისხმოა, რომ ყოველი სიურპრიზი თავისი შინაარსით სავსებით ლოგიკურია.

საბჭოთა კალათბურთის აღიარებული ლიდერის — ცსკა-ს პირველი მარცხი (ბულგარეთის „ჩერვენო ზნამიასთან") თუ ერთგვარ მოულოდნელობად მივიჩნიეთ, ათენის აეკ-თან მისმა მარცხმა ბევრი სპეციალისტი დააფიქრა სერიოზულად. მით უმეტეს, რომ თასის არაერთგზის მფლობელს ამ პოპულარულ ტურნირში წარმატების მისაღწევად ერთადერთი გზა დარჩა — ყველა მატჩის მოგება. ანალოგიური მდგომარეობაა ქალთა გათამაშებაშიც, სადაც საფუძველი შეერყა რიგის ტტტ-ს ჰეგემონიას.

ნუ გგონიათ, რომ ასეთ „შევიწროებულ" მდგომარეობაში მხოლოდ საბჭოთა გუნდები იმყოფებიან. მათს ბედს ევროპული კალათბურთის სხვა ფავორიტებიც — მადრიდის „რეალი" და მილანის „სიმენტალი" იზიარებენ...

### ერთმმართველობა თუ...

ახლა რამდენიმე სიტყვა ჩვენი კალათბურთის საშინაო საქმეებზე. აქაც ასეთივე სურათს ვხედავთ. საკავშირო ჩემპიონატის I ტურში ლენინგრადის „სპარტაკი" დიდი ანგარიშით ამარცხებს ცსკა-ს; წლების მანძილზე დაუმარცხებელ ტტტ-ს სატურნირო ცხრილში უკვე 2 უსიამოვნო „0" უწერია...

ჩვენ სულაც არ ვფიქრობთ, რომ ცსკა-ს ან ტტტ-ს საქმეები უკვე „დამულულია". პირიქით. ახლაც ღრმადა ვართ დარწმუნებული, რომ ეს გუნდები წლეულსაც შეინარჩუნებენ უმაღლეს ტიტულს. მაგრამ „ყინული დაიძრა" — საბჭოთა კალათბურთის ისტორიაში ნელნელა შეერყა საფუძველი ერთმმართველობის ტრადიციულ ერას.

ამბობენ: რაც უფრო მეტია პირველობის პრეტენდენტი, მით უფრო საინტერესოა „ოქროსთვის" ბრძოლაო. სავსებით სწორი აზრია. ამის საილუსტრაციოდ ქალთა ჩემპიონატიც კმარა. ოქროს მედლებისთვის ამჟამად უკვე 1 კოლექტივი კი არ იბრძვის ტრადიციულად (რიგის ტტტ), არამედ 2 (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტიც) და გამორიცხული არ არის, რომ ამ დუეტს კიდევ რომელიმე სხვა გუნდი დაემატოს.

### ნუ დაინდობთ ლიდერებს.

ეს სიტყვები სპორტული „ბიბლიიდანაა" ამოღებული. ამ აზრს სხვაგვარადაც გამოთქვამენ: ძლიერის წინააღმდეგ ყველა გაასკეცებული ძალით იბრძვის. და ხშირად წარმატებასაც აღწევს.

მოსკოვის „დინამო" ქალთა საკავშირო ჩემპიონატის დებიუტანტია. უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის უფლება შარშან მან ბრძოლით მოიპოვა. გუნდის მწვრთნელმა, წარსულში ცნობილმა კალათბურთელმა გ. კოლპაკოვმა შექმნა ახალგაზრდული, უაღრესად ბრძოლისუნარიანი კოლექტივი, რომლის წევრებსაც ჯერჯერობით არა აქვთ იმდენი ოსტატობა და გამოცდილება, მაგრამ ამ ხარვეზებს დაუცხრომელი მონდომებით ავსებენ.

I წრეში მოსკოველებმა 7 ქულა მოაგროვეს და სატურნირო ცხრილში კიევის თანაკლუბელებთან ერთად III-IV ადგილები გაიყვეს. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. დებიუტანტებმა ნოვოსიბირსკის ტურში მარშანდელი ჩემპიონატის II პრიზიორი — თბილისელი კალათბურთელები დაამარცხეს. დინამოელები მოგებასთან ახლოს იყვნენ მეორე წრის მატჩშიც, მაგრამ მათ არ ეყოთ ... გამოცდილება.

თამაშის წინ თბილისელთა მწვრთნელმა ლ. ძეკონსკიმ განაცხადა, რომ ჩვენს დედაქალაქში მიმდინარე ტურში ყველაზე ძნელ მეტოქედ მოსკოვის გუნდი მიაჩნია. შესაძლოა ამ მიზეზს ფსიქოლოგიური ხასიათი აქვს. ასეა თუ ისე, მწვრთნელის შიში საფუძველს არ იყო მოკლებული. ბარაქალა დებიუტანტებს, რომლებმაც ძლიერესთა რიგებში მტკიცე ადგილი მოძებნეს.

### ა. კოვზირიძე და გუნდი, ანუ ქართული ანდაზის — „გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო" — სიბრძნე.

ცენტრალური თავდამსხმელის როლი თანამედროვე კალათბურთში დიდია, ხოლო ა. კოვზირიძე ისეთი ცენტრალური თავდამსხმელია, რომელსაც ამ ურთულესი ფუნქციის შესასრულებლად ტანიც ხელს უწყობს, ტექნიკაც, აზრიც და მოქნილობაც. ერთი სიტყვით, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდში მას განსაკუთრებული როლი ეთმობა და არც თუ ტყუილ-უბრალოდ. გაიხსენეთ მოსკოვის „დინამოსთან" მატჩი, რომელშიც კოვზირიძემ თავის კოლექტივს 24 ქულა შესძინა.

მაგრამ მოხდა ისე, რომ მეორე შეხვედრაში (ლენინგრადის არმიელებთან) კოვზირიძე პირველსავე ტაიმში დაშავდა და ვერ შეძლო მატჩის გაგრძელება. თბილისელები სერიოზული, უაღრესად ძნელი ამოცანის წინაშე დადგნენ, მით უმეტეს, რომ ამ დროისთვის თამაში, როგორც იტყვიან, „ქულა ქულაში" მიდიოდა. საჭირო გახდა ტაქტიკური ნახაზის შეცვლა და ფუნქციათა გადანაწილება.

და აი, ყველასთვის მოულოდნელად, გუნდის მექანიზმი მეტისმეტად სინქრონულად ამოქმედდა. ჯანელიძემ დაიკავა ადგილი ფარქვეშ, დანარჩენებმა მას სამოქმედო ასპარეზი გაუთავისუფლეს, თამაშიც ნორმალურად წარიმართა და იყო მომენტები, როცა მასპინძლები 11-13-ქულიანი სხვაობით იყვნენ წინ.

პარადოქსულად ჟღერს ეს ფაქტი, მაგრამ გუნდმა ულიდეროდ უფრო თავგამოდებით, მონდომებით და... შედეგიანად ითამაშა. პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და შეძლეს მთელი ძალების მობილიზება, რაც გუნდის მაღალ მორალურ-ნებელობით თვისებებზე მეტყველებს.

... განსაკუთრებით გვსურს აღვნიშნოთ გ. სანაძე, რომელიც ამ მატჩის გმირად მოგვევლინა. ამ სპორტსმენის თამაში სანახაობრივად ნაკლებად ეფექტურია, მაგრამ მის თავგანწირვას, ენთუზიაზმსა და ბრძოლისუნარიანობას მაგნიტური თვისებები აღმოაჩნდა. გუნდისათვის კრიტიკულ მომენტში (მაშინ, როცა მოედანი დატოვა კოვზირიძემ) სანაძის დაუოკებელი ოპტიმიზმი წარმატების იმ ნაპერწკლად წარმოგვიდგა, რომელიც გამარჯვების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად იქცა.

**ნ. გუგუშვილი.**

* * *



სურათზე: ლენინგრადის ასკ-სთან თბილისელთა შეხვედრის მომენტი. ბურთი აქვს სანაძეს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# სხვა ქალაქებში

როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის კიდევ სამ ქალაქში მიმდინარეობს კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მატჩები. რიგაში ასპარეზობს ქალთა დანარჩენი 6 კოლექტივი. ვაჟთა გუნდები კი პირველობისთვის ლენინგრადსა და ტარტუში იბრძვიან. ქვემოთ მოგვყავს ამ შეხვედრათა შედეგები.

რიგა: „პოლიტექნიკა" (კაუნასი) — ტტტ (რიგა) 55:51, „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) — „დინამო" (კიევი) 59:47, „უნივერსიტეტი" (ტარტუ) — „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) 47:41, „უნივერსიტეტი" — „პოლიტექნიკა" 61:48, ტტტ — „სპარტაკი" 72:43, „ბურევესტნიკი" — „დინამო" 48.41.

ტარტუ: „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „დინამო" (თბილისი) 62:59, „სტროიტელი" (კიევი) — ასკ (კიევი) 63:55, „ჟალგირისი" (კაუნასი) — „კალევი" (ტარტუ) 67:56, „დინამო" — „კალევი" 72.67, „სტროიტელი" — „ურალმაში" 84:59, „ჟალგირისი" — ასკ 63:53.

ლენინგრადი. ვეფ (რიგა) — ასკ (რიგა) 77:56, „სპარტაკი" (ლენინგრადი) — ასკ (ლენინგრადი) 60:56, ცსკა — „დინამო" (მოსკოვი) 80:67, ვეფ — ასკ (ლენინგრადი) 66:60, „სპარტაკი" — „დინამო" 67:61, ცსკა— ასკ (რიგა) 70:55.

# მთავარი ბრძოლა წინაა

ბულგარეთის „ჩერვენო ზნამიასა" და იუგოსლავიის „ზადარის" მატჩით დამთავრდა კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ვაჟთა ნახევარფინალური ტურნირების II ეტაპი. ამ გუნდების პირველ შეხვედრაში უპირატესობა იუგოსლაველთა მხარეს იყო. მათ 26-ქულიანი სხვაობით გაიმარჯვეს (79:53). განმეორებითი თამაში, რომელიც სოფიაში „უნივერსიადის" დარბაზში გაიმართა, მოიგეს ბულგარელებმა ზუსტად ასეთივე ანგარიშით — 79:53. გამარჯვებულის გამოსავლენად იქვე დაინიშნა მესამე, დამატებითი შეხვედრა, რომელიც მოიგო „ჩერვენო ზნამიამ" — 80·73.

ფინალისტთა ოთხეულის დასადგენად (თასისთვის ბრძოლას განაგრძობენ ჯგუფებში I-II ადგილებზე გასულნი) ჩასატარებელი დარჩა კიდევ ერთი, III ეტაპი. „ა" ჯგუფში ერთმანეთს შეხვდებიან: „რესინგი" — „სლავია" (9 და 19 მარტს) და „რეალი" — „სიმენტალი" (10 და 16 მარტს); „ბ" ჯგუფში კი: ცსკა — „ზადარი" (6 და 13 მარტს) და „ჩერვენო ზნამია" — აეკ-ი (10 და 17 მარტს).

### გათამაშების ცხრილები

**„ა" ჯგუფი**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სიმენტალი" (იტალია) | 2 | 1 | 1 | 344:329 | +15 | 3 |
| „სლავია" (ჩეხოსლოვაკია) | 2 | 1 | 1 | 305:306 | —1 | 3 |
| „რეალი" (ესპანეთი) | 2 | 1 | 1 | 347:349 | —2 | 3 |
| „რესინგი" (ბელგია) | 2 | 1 | 1 | 373:385 | —12 | 3 |

**„ბ" ჯგუფი**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჩერვენო ზნამია" (ბულგარეთი) | 2 | 2 | 0 | 354:345 | +9 | 4 |
| ცსკა (სსრ კავშირი) | 2 | 1 | 1 | 287:264 | +23 | 3 |
| აეკ-ი (საბერძნეთი) | 2 | 1 | 1 | 269:287 | —18 | 3 |
| „ზადარი" (იუგოსლავია) | 2 | 0 | 2 | 345:359 | —14 | 2 |

**შენიშვნა:** გათამაშების დებულების თანახმად, მოგებულ გუნდს ეწერება 2 ქულა, დამარცხებულს კი — 1. ორი მატჩის (შინ და გარეთ) შედეგად ქულათა თანაფარდობის შემთხვევაში ძალაში შედის გატანილი და მიღებული ბურთების შეფარდება.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

### თბილისის სპორტულ ბაზებზე

**ჭადრაკი.** ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). 25 თებერვალი- 5 მარტი. თბილისის ვაჟთა ჩემპიონატის ფინალი. დასაწყისი 17 ს.

**სპორტული დღესასწაული.** დელისის იპოდრომი. 27 თებერვალი. სკკპ XXIII ყრილობისადმი მიძღვნილი ასპარეზობანი. დასაწყისი 13 ს.

**კალათბურთი.** სპორტის სასახლე. 27 თებერვალი. ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატი. „ა" კლასი (II წრე, I ტური). 17 ს. „დინამო" (ნოვოსიბირსკი) — ასკ (ლენინგრადი), 18 ს. 30 წ. „ბურევესტნიკი" (როსტოვი) — „დინამო" (მოსკოვი), 20 ს. სპი (თბილისი)— „ურალმაში" (სვერდლოვსკი).

**მძლეოსნური კროსი.** დელისის მიდამოები. 27 თებერვალი. ზამთრის საქალაქო პირველობა. დასაწყისი 11 ს.

ИНДЕКС 66448

საქ კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 05863

ეროვნული ბიბლიოთეკა